месяцев до объявления независимости - осенью 1917 года, но на нем было принято множество решений, сыгравших значительную роль в грузинской литературе последующего периода. Вместе с тем в диссертационном труде дана картина общего положения литературы. Также, наряду с общим обзором прозы 1918-21 годов, отдельно выделены темы и проблемы, более характерные для прозы данного периода, в частности, национальный мотив, отражение общественно-политических изменений, социальная тема и нравственные проблемы.

С точки зрения художественности, для грузинской прозы период независимой Грузии не может считаться наилучшим. Несмотря на это, 1918-1921 годы являются одним из интересных периодов в истории грузинской литературы.

899.962.1
Ч-82

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ჩოხარაძე მალხაზ ჯემალის ძე

# დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდის ქართული პროზა
## /1918-1921 წლები/

სპეციალობა 10.01.02.- ქართული ლიტერატურა

ს ა დ ი ს ე რ ტ ა ც ი ო   მ ა ც ნ ე

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1993

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე.

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ტ.კვანჭილაშვილი.

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი დ.თევზაძე.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი დ.კოტრიაშვილი.

დაცვა შედგება 1993 წლის "24" სექტემბერს 12 საათზე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი ლიტერატურის დარგის სამეცნიერო საატესტაციო საბჭოს სხდომაზე P 10.01. C № 10-3 /380028, თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი № 1/.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაგზავნილია 1993 წ. "16" აგვისტოს

სპეციალიზებული საბჭოს
სწავლული მდივანი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნ.ქაჩიძე.

–1458–



Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

კვლევის აქტუალობა. დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდის /1918-1921 წლები/ ლიტერატურა, კონკრეტულად, პროზა, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთი საინტერესო ფურცელია. ამის მიუხედავად, 1921 წლის 25 თებერვლის შემდგომი პოლიტიკური რეჟიმის გამო, ამ პერიოდის მწერლობის მონოგრაფიული შესწავლა და ობიექტური შეფასება ვერ ხერხდებოდა.

მართალია, 1918-21 წლებში შექმნილი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწარმოებები ცნობილია ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, შესწავლილია და შეფასებულია, - ვ.ბარნოვის, ნ.ლორთქიფანიძის, კ.გამსახურდიას, ლ.ქიაჩელისა და სხვათა ნაწარმოებების გარეშე მაშინდელი პროზა მეტისმეტად მწირე იქნებოდა, - მაგრამ ზოგადი სურათის შესაქმნელად მხოლოდ მათი შემოქმედების მიმოხილვა და ანალიზი არ არის საკმარისი. ამ პერიოდში შეიქმნა მრავალი საინტერესო ნაწარმოები, რომლებშიც აისახა მღელვარე ეპოქის ცხოვრება, ქართული ლიტერატურა გამდიდრდა ახალი თემებით, მომზადდა საფუძველი ლიტერატურის აღმავლობისათვის და სხვა.

1918-1921 წლების ლიტერატურა, კერძოდ, პროზა, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის განუყოფელი ნაწილია, მისი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის სრულყოფილი შესწავლა. ამიტომ, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდის ქართული პროზის კვლევა აქტუალურია და ყურადსაღები.

მეცნიერული სიახლე. 1918-21 წლებში მოღვაწე ამა თუ იმ ქართველი პროზაიკოსის შემოქმედების სრულყოფილი შესწავლისას ქართული კრიტიკა განიხილავდა ამ პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებსაც. გარდა ამისა, მეოცე საუკუნის ლიტერატურის ისტორიის კვლევისას დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდის ქართული მწერლობაც, კონკრეტულად, პროზაც მოიხსენიებოდა ხოლმე. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა მიზეზების გამო, 1918-1921 წლების ქართული პროზა დღემდე არ გამხდარა კომპლექსური, მონოგრაფიული კვლევის საგანი.

წარმოდგენილ ნაშრომში არის 1918-21 წლების საქართველოს შემოქმედე-